

ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამა: “გამოყენებითი ბიოფიზიკა”,

«Applied Biophysics»

მისანიშვილი აკადემიური ხარისხი: ბიოფიზიკის მაგისტრი, MSc in Biophysics

პროგრამის სელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამაზ მძინარაშვილი, თანახელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი დავით გამრეკელი,

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა:

პროგრამა შედგება ორი მოდულისაგან:

მოდული 1: “გამოყენებითი ბიოფიზიკა”, «Applied Biophysics»

მოდული 2: “სამედიცინო ბიოფიზიკა”, «Medical Biophysics»

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

მიზანი: სამაგისტრო პროგრამა, რომელიც დაფუძნებულია ისეთ დისციპლინებზე, როგორებიცაა ბიოლოგია და ფიზიკა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის მნიშვნელოვნად გაღრმავებას, რომლის შედეგადაც კურსდამთავრებული იქნება ჩამოყალიბებული მეცნიერი ბიოფიზიკის კუთხით. პროგრამის მიზანია სტუდენტმა შეიძინოს ცოდნა-გამოცდილება არა მარტო ვიწრო სპეციალობით, არამედ ბიოფიზიკის ყველა მიმართულებით და ჩამოყალიბდეს, როგორც მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი. სამაგისტრო პროგრამების დასახელებიდან გამომდინარე სტუდენტი ორიენტირებული იქნება გამოყენებითი ბიოფიზიკის კუთხით, თუმცა, სწავლებისას მიღებული გამოცდილების ხარჯზე იხინი იქნებიან მზად, რათა აწარმოონ ფართო სამეცნიერო მუშაობაც, რასაც განაპირობებს მაგისტრატურაში მოსმენილი ლექციების დონე და ხარისხი. მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში სტუდენტს ექნება საშუალება გაიაროს მაღალ დონეზე პრაქტიკულ/ლაბორატორიული ლექციები, როგორც უნივერსიტეტში ასევე თბილისში სხვა სამეცნიერო ინსტიტუტებში არსებულ ლაბორატორიებში (მაგალითად ე. ანდონიკაშვილის სახელობის ფიზიკის, მოლექულური ბიოლოგიის და ბიოფიზიკის, გელიაგას სახელობის ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტებში და სხვაგან). პროგრამა მაგისტრანტს მისცემს საშუალებას შეიძინოს გამოცდილება ისეთ პრაქტიკულ დარგებში როგორებიცაა ბიოგენერაცია, ფაგოთერაპია, ეკოლოგია და სხვა. ამ მიზნით ლექციების წაკითხვის საშუალება ექნებათ სხვადასხვა ინსტიტუტებში (ვისთანაც უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ) ამჟამად აქტიურად მოღვაწე მეცნიერებს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულე ცნობილი პროფესორების მოწვევას და მათ მიერ ლექციების უკრსის ჩატარებას ჩვენი სპეციალობის სტუდენტებისათვის (ინტენსიურ რეკიმში). ასეთი ლექციების მოსმენა ჩვენი სტუდენტებისათვის ნიშნავს ისეთვე ხარისხის ლექციების მოსმენას, როგორ ლექციებსაც ისმენენ საზღვარგარეთის სტუდენტები ცნობილი უნივერსიტეტებში (მათ შორის უკრობული თუ ამერიკული), რაც ნიშნავს ფაქტიურად ჩვენი სტუდენტის და მის მიერ მიღებული დიპლომის ხარისხის და ზოგადად ჩვენი უნივერსიტეტის პრესტიჟის გაზრდას უცხოელი უნივერსიტეტების თვალში.

მაგისტრატურის სტუდენტები მოისმენენ ლექციების კურსს, რომელიც მოიცავს როგორც აუცილებელ, ძირითად სალექციო დისციპლინებს, არჩევით ლექციებს.

შედეგი: სტუდენტი, რომელმაც გაიარა სწავლება მაგისტრატურაში და დაიცვა მაგისტრის დიპლომი ბიოფიზიკის სპეციალობით, იქნება ყველას მიერ აღიარებული, ჩვენთან თუ დასავლეთის სამეცნიერო ცენტრების მიერ, როგორც მაღალკვალიფიციური მეცნიერი, რომელსაც შესწევს უნარი დამოუკიდებლად აწარმოოს სამეცნიერო კვლევა.

მაგისტრანტი, რომლმაც დაამთავრა გამოყენებითი ბიოფიზიკის სპეციალობა და შეიძინა აუცილებელი უნარჩვევები, შედეგად შეძლებს დამოუკიდებლად აწარმოოს სამეცნიერო მუშაობა. ანუ:

შეძლება ამოცანის დაყენების უნარი, რისთვისაც იგი შეძლებს ლიტერატურაში არსებული ინფორმაციის სრულყოფილად მოპოვებას და მის სრულ ანალიზს.

სწავლისას მიღებული პრაქტიკული გამოცდილება დაეხმარება მას აწარმოოს მუშაობა და კვლევები ისეთ პრაქტიკულ სპეციალობაში, როგორებიცაა ბიოგენერაცია, კვების მრეწველობა, სამედიცინო დაწესებულებები, ფარმაკოლოგია, ეკოლოგია და სხვა.

დასაქმების სფეროები: პროგრამა გავლილი მაგისტრანტები იქნებიან მაღალ-კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ სამეცნიერო კვლევის წარმართვას

შესაბამისი სპეციალობის ინსტიტუტებში, როგორცაა ე.ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი; მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტი; სამედიცინო ბიოგენოლოგიების ინსტიტუტი; გ.ელიაგას სახელობის მიქრობიოლოგიისს, ბაქტერიოფაგების და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი; დურმიშიძის სახელობის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი და სხვა.

შეეძლებათ დასაქმება ისეთ როგორ სამედიცინო დანადგარებზე, როგორებიცაა სხვადასხვა ტიპის ტომოგრამები, ულტრაბაზერითი დანადგარები და სხვა, რომლითაც აღჭურვილი არიან ბევრი სამედიცინო დაწესებულებები.

გარდა ამისა მნიშვნელოვანი როლი ექნებათ საზღვარგარეთის უნივერსიტეტში მოღვაწე მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების პოზიციას და თანადგომას ჩვენი კურსდამთავრებულ სტუდენტებისათვის.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები: ბაკალავრის დიპლომი

მისაღები გამოცდის პროგრამა

I ნაწილი ბიოლოგია

1. სიცოცხლის განმარტება და სასიცოცხლო პროცესები. სამყაროს მრავალფეროვნება (ცხოველი, მცენარე, ბაქტერია, ვირუსი). ეფოლოცია. ეკოლოგიური სისტემები. ორგანიზმთა თანაცხოვრების ფორმები: სიმბიოზი და პარაზიტიზმი.
2. სიცოცხლის ელემენტარული ერთეული უჯრედი. აგებულება (ბირთვი-ქრომოსომები, ციტოპლაზმა ორგანოდები: მიტოქონდრია, რიბოსომა, ენდოპლაზმური ბადე, ლიზოსომა, გოლჯის აპარატი, ცენტრიოლი, ვაკუოლი)
3. უჯრედის სასიცოცხლო სტადიები: ინტერფაზა და მიტოზი. სომატური და სასქესო უჯრედები. მეიოზი.
4. ბიოპოლიმერების ძირითადი ტიპები: დნმ, ცილები, ცხიმები და ნახშირწყლები (ზოგადი დახასიათება). მათი ფიზიკო-ქიმიური აღნაგობა (ზოგადად)ფუნქციები და ლოკალიზაცია.

II ნაწილი ქიმია

5. ნაერთთა კლასიფიკაცია. არაორგანული ნაერთები (მჟავეები, ფუძეები, მარილები, ჟანგეულები) განმარტებები ზოგადად. ორგანული ნაერთები (ალდეჰიდები, სპირტები, ეთერები, ფენოლები) განმარტებები ზოგადად. ორგანულ ნაერთთა ფუნქციონალური ჯგუფები: ამინო, კარბო, სულფო, მეთილის, ჰიდროქსი და სხვა. მოლეკულის ასიმეტრიულობა (ქირალური ატომი).
6. მოლეკულათა შორის კავშირები: ქიმიური ბმები (კოვალენტური, იონური, წყალბადური) და კავშირები (ვან-დერ-ვაალსის ძალები და ასოცირებული კავშირი).
7. წყლის სტრუქტურა და თვისებები. წყლის ბიოლოგიური ფუნქცია. წყლის დისოციაცია. pH –საკალა.
8. რაოდენობრივი ანალიზის საფუძვლები ატომური (მოლეკულური) მასა, მოლი. ხსნარები და ბუფერები (მარტივი და რთული). კონცენტრაციის გამოსახვის ხერხები: პროცენტული, მოლური და ნორმალური კონცენტრაციები (გრამ-ეკვივალენტის ცნება).

III ნაწილი ბიოქიმია

9. ცილები, პეპტიდები, ამინომჟავები (ზოგადი დახასიათება). ცილების ფუნქციები (სტრუქტურული, სატრანსპორტო, რეცეპტორული, იმუნური და სხვა). ცილების სტრუქტურული ორგანიზაცია: I, II, III და IV სტრუქტურა. ფიბრილარული და გლობულარული ცილები. ფერმენტები (ზოგადი დახასიათება). რეაქციის სიჩქარე. ფერმენტ-სუბსტრატული კომპლექსი.
10. ღნმ და რნმ. ლოკალიზაცია აგებულება და ფუნქციები. ჩარგაფის წესი. ნუკლეიინის მჟავების ძირითადი პროცესები: რეპლიკაცია, ტრანსკრიპცია, სპლაისინგი, ტრანსლიაცია. ღნმ-ის ორმაგი სპირალის მოდელი. ნუკლეიინია მჟავების მასტაბილიზებელი ძალები.
11. 3. ნახშირწყლები: მატრიცი (მონო), დი, ტრი და რთული (პოლი) საქარიდები (სახამებელი, გლიკოგენი, ცელულოზა). ფუნქცია, ლოკალიზაცია ზოგადი დახასიათება.
12. ლიაბიდები. კლასიფიკაცია, აგებულება, ფუნქცია. ტრიგლიცერიდები. ნაჯერი და უჯერი ორგანული მჟავები. ფოსფოგლიცერიდები, და სხვა ცხიმები (ზოგადად).
13. მეტაბოლიზმი ზოგადი მიმოხილვა. ანაბოლიზმი და კატაბოლიზმი. მაკროერგული ბმის მქონე ნაერთი ატფ (ფუნქცია, სტრუქტურა, სინთეზის ლოკალიზაცია).

IV ნაწილი ფიზიკა

14. თერმოდინამიკური პარამეტრების ჩამონათვალი და კავშირი მათ შორის (მხოლოდ ფორმულები). სითბო. მუშაობა. სითბოტევადობა. (მოკლედ). თერმოდინამიკის პირველი კანონი.
15. თერმოდინამიკის მეორე კანონი. სითბოგამტარებლობა. დიფუზის მოვლენა. სიბლანტე (განმარტებები).
16. სინათლის ენერგია. ატომების და მოლეკულების ენერგეტიკული დონეები (ელექტრონული, რხევითი, ბრუნვითი (მოკლე განმარტებები)
17. ატომის აგებულება. ბირთვი. ბორის პოსტულატები. სინათლის სხივის ტალღური და კორპუსკულარული ბუნება. სინათლის დისპერსიის და დიფრაქციის მოვლენები. პოლარიზაცია (მოკლე განმარტებები).

ლიტერატურა

1. ა. შათირიშვილი. "ზოგადი ბიოლოგია". 2001 წ.
2. ა. შველაშვილი, ბ. არზიანი, ლ. ბერიძე "ქიმია". 1999 წ.
3. დ. მიქელაძე "ბიოქიმია". 1992 წ.
4. H.R.Horton, L.A.Moran, R.S.Ochs, J.D.Rawn, K.G.Scrimgeour. "Principles of Biochemistry". 1996.
5. Л.Ландау и др. "Курс общей физики". М.1969 г
6. И.Савельев. "Курс общей физики". М.1971 г